ახალი

ჯარისკაცი

„მედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძველეს გული,,

2017 წელი 28 ივლისი № 7 № 8124

ჯარისკაცი

85 წელი თქვენთან ერთად!

ელფოსტა

AxaliGantiadi@gmail.com



ერეთვნული. ოცდაერთოლის ჩანჩქერი

ლევან ზუბიაშვილის ფოტო

“რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგთემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბასებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმადხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ.”

ილია ჭავჭავაძე

არა ოკუპაციას

თავდაცვის მინისტრი ოკუპაციის მუზეუმში

კასპის ოკუპაციის მუზეუმს პროექტის "არა ოკუპაციას" ფარგლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია სტუმრობდა.

შეხვედრას ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

მინისტრმა გამოსვლაში ყურადღება საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებსა და რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე გაამახვილა. ლევან იზორიამ აღნიშნული საფრთხეების გათვალისწინებით, საქართველოს მიერ გადადგმული პრაგმატული ნაბიჯები და ნატოს შეკავების პოლიტიკაც ხაზგასმით აღნიშნა. ისაუბრა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიზნით უწყებაში განხორციელებულ რეფორმებზე, ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ძირითად კომპონენტებზე, საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის შესახებ, რომელიც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ის მხარდაჭერით ხორციელდება.

სტუდენტებმა თავდაცვის მინისტრს კითხვები სავალდებულო სამხედრო სამსახურის, რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის, ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებასა და საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესახებ დაუსვეს.

შეხვედრა წარჩინებულ კურსდამთავრებულებთან

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა და მისმა მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2015-2016 სასწავლო წლის 11 წარჩინებულ კურსდამთავრებულს ოქროს და ვერცხლის მედლები გადასცეს.

ოქროს მედლები გადაეცათ: თეონა ბერიანიძეს (ოკმის საჯარო სკოლა), ლევან გიგილაშვილს (კასპის №2 საჯარო სკოლა), ლევან შაქარაშვილს (დოესის საჯარო სკოლა), ეკა ონეზაშვილს და ქეთევან ლაფაჩს (სასირეთის საჯარო სკოლა).

ვერცხლის მედლები მიიღეს მარიამ ხეჩიკაშვილმა, ლიკა ჯანანაშვილმა (დოესის საჯარო სკოლა), მირანდა ბიჭიკაშვილმა (სასირეთის საჯარო სკოლა),თინა ოქროპირიძემ (ქვემო ჭალის საჯარო სკოლა), ცირა ჯანანაშვილმა და ევგენია ალიმბარაშვილმა (ხოვლის საჯარო სკოლა).

წარჩინებული კურსდამთავრებულები წარჩინებული სტუდენტებიც არიან.

გოჩა გოჩიტაშვილმა და ზაზა მარიდაშვილმა ახალგაზრდებს სამომავლო წარმატებები უსურვეს, ქვეყანას განათლებული და წარმატებული ადამიანები სჭირდება.

საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია

კასპის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა

დაათვალიერა.

წელს, მუნიციპალიტეტში 11 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია განხორციელდება. მათ შორის 9 სოფელში: ხოვლე, ქვემოგომი, სასირეთი, თელიანი, სადგური მეტეხი, ეზატი, კავთისხევი, ახალციხე და ახალქალაქი. ასევე მოხდება ქალაქის №4 და №5 საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია, ჯამში 11 საბავშვო ბაღზე 1 300 562 ლარი დაიხარჯება - აღნიშნა ზაზა მარიდაშვილმა.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოწვევით, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების სარემონტო სამუშაოები სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონალური სამართველოს სპეციალისტებმა გამგეობის თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერეს. სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, სპეციალისტების მოწვევის მიზანი სკოლამდელი დაწესებულებების კვების ბლოკების მოთხოვნის დონეზე მოწყობა და სტანდარტს დაქვემდებარებაა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ლამისყანის გზის სამუშაოები მალე დასრულდება

სოფელ ლამისყანაში გზის მოასფალტების სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა დაათვალიერა.

ლამისყანა-თეზიოკამის თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნულ მაგისტრალთან შემაერთებელი გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომლის სიგრძეც 2 000 გრძივი მეტრია შპს "საგზაო სამშენებლო სამმართველო №1" ასრულებს.

პროექტი დაფინანსებულია რეგიონების განვითარების ფონდიდან და მასზე 448 107 ლარი დაიხარჯება.

სასმელი წყალი სოფელ ზემო ხანდაკს

გრძელდება სოფელ ზემო ხანდაკში სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები.

პროექტი რეგიონების განვითარების ფონდიდან ფინანსდება (550 337 ლარი) და შპს "ბილდინგ დეველოპერი" ახორციელებს. პროექტის დასრულების შემდეგ მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდება - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

ბუნებრივი აირი ყველა სოფელს

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში "გაზი ყველა სოფელს", მიმდინარეობს სოფელ მეტეხის გაზიფიცირება.

სოფელში აშენდა ცენტრალური მკვებავი მაგისტრალი. ამჟამად კი საუბნო დაქსელვის სამუშაოები მიმდინარეობს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა მეტეხის ადმინისტრაციულ ერთეულში იოსებ მარღიშვილმა.



„ინფორმირებული მოქალაქე - ძლიერი თვითმმართველობა„

ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივად დაფინანსებული პროექტის „ინფორმირებული მოქალაქე - ძლიერი თვითმმართველობა"-ს ფარგლებში, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სათემო საკონსულტაციო საბჭოს წევრებისათვის ტრენინგი ჩატარდა.

პროექტით დაგეგმილია მოსახლეობაში კვლევის ჩატარებაც, რომელზეც საბჭოს წევრებს დაწვრილებითი ინფორმაცია ტრენერმა ამირან გიგინეიშვილმა მიაწოდა. დასასრულს გაიმართა ჯგუფური - პრაქტიკული მუშაობა, რომელიც მათ გამოკითხვის პროცესში დაეხმარება.

გუდალეთი - ვარჯაანის გზის რეაბილიტაცია

მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდალეთთან და ვარჯაანთან მისასვლელი გზების რეაბილიტაციის პირველი ეტაპისათვის საქართველოს მთავრობის მიერ 204 535 ლარია გამოყოფილი.

8 800 გრძივი მეტრი გზის რეაბილიტაცია კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანადაფინანსებით მოხდება; ადგილობრივი ბიუჯეტიდან 10 765 ლარია გამოყოფილი.

გამოცხადებულია ტენდერი, მშენებლის შერჩევის შემდეგ დაიწყება სამუშაოები - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა, რომელმაც სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთი ადგილზე დაათვალიერა.

სამართლიანი არჩევნები კასპში

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონფერენციო დარბაზში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - ISFED-მა ტრენინგი ჩაატარა.

ტრენინგი ცნობიერების ამაღლებას ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და თვითმმართველობის ჩართულობით - პროექტის ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება და საჯარო მოხელეებისთვის გაიმართა.

ტრენინგს უძღვებოდნენ სამართლიანი არჩევნების ტრენერები ნინო ბიბილეიშვილი და თეა თედლიაშვილი. ტრენინგის განხორციელება საქართველოში შიდა ქართლიდან, კასპიდან დაიწყო.

შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებს გადაეცათ სამართლიანი არჩევნების მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოები.

უფასო სამედიცინო მომსახურება დოესში

15 ივლისს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ დოესში კლინიკა "ენმედიცი"-ს მიერ მოსახლეობის უფასო სამედიცინო გამოკვლევა ჩატარდა. მოსახლეობას მოემსახურა ოფთალმოლოგი, ნევროპათოლოგი, ანგიოლოგი, კარდიოლოგი, ჩაუტარდათ ექოსკოპიური გამოკვლევა. სულ 120 პაციენტი იქნა გასინჯული.

ორი სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფა

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის №1401 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კასპის მუნიციპალიტეტს გამოეყო 332 280 ლარი.

აღნიშნული თანხა მოხმარდება საქადაგიანოს სვანების დასახლებისა და ხიდისყურის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებს.

პროექტი მიმდინარე წელს განხორციელდება და უზრუნველყოფს ორი სოფლის სასმელი წყლით მომარაგებას - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

სკოლის ზარის დარეკვამდე

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის უდიდესი ძალისხმევითა და მხარდაჭერით ბოლო სამი-ოთხი წელია, ინტენსიურად მიმდინარეობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

საბავშვო ბაღები ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოები მარტო ქალაქში კი არა, მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში ტარდება.

— მომავალ თაობაზე ზრუნვის უდიდესი გამოვლინება გახლავთ მთავრობის მიერ აღებული დღევანდელი კურსი, — აცხადებს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, — დღეის მდგომარეობით 26 საბავშვო დაწესებულება ფუნქციონირებს, სადაც დღითიდღე იხვეწება და ვითარდება საგანმანათლებლო პროცესი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და თვალშისაცემია ბაღებში შეუნელებლად, თანმიმდევრულად მიმდინარეობს სამშენებლო და აღდგენითი სამუშაოები.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება. შარშან, სექტემბერში საზეიმოდ გაიხსნა ქალაქის ყველაზე ძველი (დაარსდა 1934 წელს), ნომერ პირველი, განახლებული, უმაღლესი სტანდარტებით აღჭურვილი საბავშვო ბაგა-ბაღი და ახლა უკვე კასპის ერთ-ერთი უბნის 200-მდე აღსაზრდელი ატარებს ბავშვობის დაუვიწყარ ხანას. ამიტომაც არის, რომ პირველბაღელებს დღესასწაულის მიზეზი ნამდვილად ჰქონდათ, როდესაც კურსდამთავრებულთა წლევანდელი 83-ე გამოშვება საზეიმოდ აღნიშნეს...



სანახაობრივად ლამაზი, შინაარსით დატვირთული საზეიმო კონცერტი გამართეს დამამთავრებელი ჯგუფის (აღმზრდელი თეა პაიჭაშვილი, მისი თანაშემწე თამარ ბერიანიძე) ბავშვებმა. საზაფხულო არდადეგების დაწყებამდე საზეიმო შეხვედრაზე ერთად შეიკრიბნენ სასკოლე ბავშვები და მათი მშობლები, აღმზრდელ-მასწავლებლები. ეს იყო ემოციური, მართლაც, დაუვიწყარი დამშვიდობება მშობლიურ ბაღთან და საყვარელ მასწავლებლებთან, ბავშვობის მეგობრებთან.

აღსაზრდელებმა ზეიმზე მოიწვიეს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, გაერთიანების სპეციალისტები ხათუნა ტყემალაძე, ნია ჯუხარიძე.

ახლადგარემონტებულ, გალამაზებულ და გაკეთილშობილებულ დარბაზში ისმოდა პატარების ხალისიანი ჟივილ-ხივილი. ლამაზ, გემოვნებით შეხამებულ, საზეიმო სამოსში გამოწყობილი თვალხატულა გოგო-ბიჭები ორიგინალურად მიესალმნენ სტუმრებსა და მშობლებს, დამსწრე საზოგადოებას. შთამბეჭდავი მისალმების შემდეგ ბავშვებმა გამართეს პატარა, მაგრამ ძალიან საინტერესო, შემეცნებითი თეატრალიზებული წარმოდგენა, სადაც ყველა ბავშვი იყო ჩართული და სტუმრებს მონდომებით, გალაღებული ესაუბრებოდნენ საყვარელ ბაღზე, აღმზრდელ-მასწავლებლებსა და ძიძებზე, აქ შეძენილ პატარა მეგობრებზე. ეს სახალისო, სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებული პატარა სანახაობა მართალია, დიდხანს (45 წუთი) არ გაგრძელებულა, მაგრამ ბავშვებმა შესანიშნავად, თვალსაჩინოდ წარმოადგინეს თავიანთი "უნარ-ჩვევები", მოხერხებულობა და საერთო ცოდნის დონე.

— წელს 35 კურსდამთავრებული ემშვიდობება მშობლიურ ბაღს. წინასწარი მონაცემებიდან ისიც ირკვევა, რომ არც მომავალ წელს გვეყოლება ნაკლები, — აცხადებს ბაგა-ბაღის გამგე მზია ჭალიაშვილი, — გამუდმებით, მაქსიმალურად ვცდილობთ აღსაზრდელების ასაკის მიხედვით, მათზე მორგებული დახვეწილი და აპრობირებული მეთოდით განვახორციელოთ სასწავლო და სააღმზრდელო პროცესი, მითუმეტეს, რომ ახლა ჩვენს დაწესებულებას გააჩნია სრული რესურსი იმისათვის, რომ პატარები მოვამზადოთ სკოლისათვის, როგორც გონებრივი თვალსაზრისით, ასევე ფიზიკურად. თქვენ წარმოიდგინეთ, სისტემატურად ვითვალისწინებთ აღსაზრდელთა ინდივიდუალიზმს და ყოველნაირად ვცდილობთ თითოეულმა ბავშვმა გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა, უნარი.

სრული პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებული მოვალეობის შესრულებას კასპის პირველი საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლები: თეა პაიჭაშვილი და თამარ ბერიანიძე, მუსიკის მასწავლებელი შორენა ჯოჯიშვილი, ლოგოპედი დოდო ონიანი, ფსიქოლოგი ნინო ხოკრიშვილი.

გასაკვირი აღარაა რომ, ყოველწლიურად იზრდება ბავშვთა კონტინგენტი ბაღში. სამჯერადი კვება, შექმნილი არაჩვეულებრივი კომფორტული გარემო და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სკოლამდელი სწავლების აკადემიური პროცესი გარანტირებულ საფუძველს ქმნის მოზარდების სასკოლო მომზადებისათვის. შესაბამისად იზრდება პირველ ბაგა-ბაღში აღსაზრდელთა რაოდენობა. განსაკუთრებული კონტროლისა და მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება ბავშვთა კვების რაციონის საკითხიც.

— რომელი ოჯახი დატოვებს ბავშვს დღეს ბაღის გარეშე, სამ ათეულ წელზე მეტია, აქ ვმუშაობ და დღევანდელ მდგომარეობას მართლაც რომ საუცხოოს ვუწოდებ, — აცხადებს ბაღის მზარეული მარინა მერებაშვილი, — სანდო, ახალთახალი, ათასგზის გადამოწმებული და შესწავლილი საკვები პროდუქტები არ ილევა ჩვენს კომფორტულ საკუჭნაოში, ყოველ კვირას ხორციანი გემრიელი კერძი, თევზეული, რძის პროდუქტები, ტკბილეული თუ ხილი ყველაფერი გათვალისწინებულია ჩვენი პატარების მენიუში.

უდიდესი კმაყოფილება, აღფრთოვანება გამოთქვეს ზეიმზე მოსულმა აღსაზრდელების მშობლებმა: ციცინო თოფჩიშვილმა, თეა გაბოძემ, ირადა ხალიფოვმა და სხვებმა, რომლებმაც გულითადი მადლობა გადაუხადეს ბაღის პედაგოგიურ კოლექტივს გაწეული შრომისა და ამაგისათვის. საზეიმო შეხვედრის დასასრულს ბავშვებს საზეიმო ვითარებაში გადასცეს ბაღის დამთავრების ლამაზი სამახსოვრო ალბომი.

ეს უფროსებისთვის იყო საბავშვო ზეიმი, პატარებისთვის კი ნამდვილად საინტერესო, სასიამოვნო მოულოდნელობებითა და ახალი წიგნებით დახუნძლული ცხოვრების ოფიციალური დაწყება გახლდათ... ფეხბედნიერად გევლოთ ჩვენო საყვარელო პატარებო!

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

როდის იზრდება გვნყურნების ვრცხვთობა 100%-მდე?

- ხშირად გვესმის, რომ კიბო აღარ წარმოადგენს უკურნებელ სენს... ქალბატონო ია, რეალურად როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომ იყოს დაცული, რა უნდა ვიღონოთ, რომ კიბოს გამომწვევი პათოლოგიური პროცესები ადრეულ სტადიაში გამოვავლინოთ?

- ადრეული დიაგნოსტიკა საუკეთესო იარაღია ნებისმიერ დაავადებასთან ბრძოლისას. ეს ეხება სიმსივნურ დაავადებებსაც.

ავთვისებიანი სიმსივნეების უმეტესობა პირველ-მეორე სტადიებში ძირითადად უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ადამიანი ვერ ამჩნევს, რომ რაღაც სჭირს. სიმპტომების უმეტესობა მე-3, მე-4 სტადიაში იჩენს თავს, ამ დროს კი კიბოსთან ბრძოლა ხშირად დაგვიანებულია. თუმცა, კიბო აღარ წარმოადგენს უკურნებელ სენს, თუ მისი გამოვლენა ადრეულ სტადიაში მოხდა. სკრინინგის screen - ინგლ. გადარჩევა, გამოხშირვა) პროგრამებიც სწორედ იმისთვის დაინერგა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რომ კიბოს გამომწვევი პათოლოგიური პროცესები ადრეულ სტადიაში გამოვლინდეს - ამ შემთხვევაში განკურნების ალბათობა 100%-მდე იზრდება, ხოლო მკურნალობის ხარჯი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე კიბოს შორს წასული ფორმების მკურნალობისას. თუ ადამიანი ჩართულია სკრინინგის პროგრამაში, მას შეუძლია, დროული და თანმიმდევრული გამოკვლევებით:

მშვიდად განაგრძოს ჯანმრთელობის კონტროლი;

არ მისცეს დაავადებას ავთვისებიან სიმსივნედ გადაგვარების საშუალება;

სიმსივნის ადრეული გამოვლენის შემთხვევაში საკუთარი განიკურნოს.

- სკრინინგის პროგრამით შესაძლებელია თუ არა თქვენს კლინიკაში გასინჯვა და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობა?

- ჩვენთან - იამზე ქამხაძის დიაგნოსტიკურ კლინიკაში, რომელიც მდებარეობს კასპში, ფარნავაზის ქ №2-ში, ცემენტის ქარხნის პოლიკლინიკის ტერიტორიაზე, კვლავ განახლდა კიბოს სკრინინგის ეროვნული პროგრამის ფარგლებში სკრინინგის პროცედურები. შეგახსენებთ, რომ კვლავ მიმდინარეობს ძუძუს, საშვილოსნოს ყელისა და მსხვილი ნაწლავის სკრინინგული გამოკვლევები, რომელიც არის უფასო.

ჩვენს დაწესებულებაში მამოლოგიურ (ძუძუს) სკრინინგში ჩართვა შეუძლიათ საქართველოს ნებისმიერ რეგიონში მცხოვრებ ქალბატონებს (გარდა თბილისში ოფიციალურად ჩაწერილი პირებისა) 40 წლიდან - 70 წლის ჩათვლით.

საშვილოსნოს ყელის დაავადებათა სკრინინგისათვის 25 წლიდან 60 წლის ჩათვლით ასაკში მყოფ საქართველოს ნებისმიერ რეგიონში მცხოვრებ ქალბატონებს (გარდა ქ. თბილისში ჩაწერილი მოქალაქეებისა).

მსხვილი ნაწლავის დაავადებათა სკრინინგისათვის შეუძლიათ მოგვმართონ საქართველოს ნებისმიერ რეგიონში მცხოვრებმა ქალბატონებმა და მამაკაცებმა 50- დან - 70 წლის ჩათვლით.

მამოლოგიურ დაავადებათა სკრინინგი მოიცავს მამოგრაფიას, თითოეულ სარძევე ჯირკვლის რენტგენო გადაღებას 2 პროექციაში და საჭიროების შემთხვევაში ულტრაბგერით, ანუ ექოლოგიურ დათვალიერებას.

საშვილოსნოს ყელის დაავადებათა სკრინინგისას გინეკოლოგის მიერ საშვილოსნოს ყელის წინასწარი დათვალიერების შემდეგ აღებული იქნება მასალა, რომელიც იგზავნება თბილისში ციტოლოგიურ ლაბორატორიაში, საიდანაც მივიღებთ პასუხს.

საჭიროების შემთხვევაში თუ ამ პასუხში იქნება გადახრა ნორმიდან, პაციენტი გაგზავნილი იქნება თბილისში კოლპოსკოპიური გამოკვლევისათვის, რაც გულისხმობს საშვილოსნოს ყელის დათვალიერებას სპეციალური აპარატურით-კოლპოსკოპით.

მსხვილი ნაწლავის სკრინინგი მოიცავს კოლოტესტების ჩატარებას, ხოლო დიაგნოზის დასაზუსტებლად საჭიროების შემთხვევაში პაციენტი მიმართვით იგზავნება დამატებით ინსტრუმენტული გამოკვლევისათვის კოლონოსკოპიაზე.

ყველა ზემოთხსენებული პროცედურა და გამოკვლევა როგორც პირველადი, ასევე გაღრმავებული კვლევები, რომლებიც საკმაოდ ძვირადღირებულია, სკრინინგში ჩართული პირებისათვის არის უფასო. პაციენტს მხოლოდ ევალება, რომ თან იქონიოს პირადობის მოწმობა.

სკრინინგულ გამოკვლევებს აწარმოებს მედიკოსთა გამოცდილი გუნდი, რომელიც ამ სფეროში მოღვაწეობს 2003 წლიდან და გარდა საქართველოში მიღებული სამედიცინო განათლებისა, მათ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით შემლეს კვალიფიკაცია აემაღლებინათ ევროპისა და აშშ-ს სასწავლო პროგრამებით.

რაც შეეხება ზემოთხსენებული სკრინინგული პროცედურების შემდეგ, თუ გამოვლენილი იქნა ნებისმიერი დაავადება, პაციენტს ეძლევა რჩევა-დარიგება, მიაკითხოს სათანადო სპეციალისტს დანიშნულებისათვის.

ჩვენ ვიზრუნეთ იმისთვის, რომ მაქსიმალურად დავუახლოვოთ ეს მომსახურება პაციენტს და მინიმალურ ფასად დანიშნულების მიღება შეძლოს ჩვენს კლინიკაში ექიმი გინეკოლოგისა და მამოლოგის მიერ.

წელს საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ ია ქამხაძის კლინიკას სამედიცინო დარგში მიღწევებისათვის "ვერცხლის კომპანიის" ტიტული მიანიჭა; თავად კლინიკის დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს "თავდადებული და გამოჩენილი ექიმის" წოდება.

ვულოცავთ ქალბატონ იას წარმატებას და ვითვალისწინებთ რა, მის განვლილ საინტერესო პროფესიულ გზას, დარწმუნებული ვართ, ხშირად გავხდებით საქმიანი სიახლეების მომსწრე. მანამდე კი, მკითხველის ინტერესიდან გამომდინარე რამდენიმე კითხვით მივმართეთ ქალბატონ იას.

მოწვეული გვყავს თბილისიდან გამოცდილი სპეციალისტი ონკომამოლოგი ბატონი გიგა ქადაგიშვილი, რომელიც მოღვაწეობს კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტსა და თბილისის პირველ საავადმყოფოს მკერდის ქირურგიის ცენტრში. წლების განმავლობაში სპეციალიზდებოდა, როგორც საქართველოს ასევე აშშ-ს ლუისვილისა და ნიუ-იორკის სამედიცინო კლინიკებში, არის სამეცნიერო შრომების ავტორი შესაბამის სფეროში. სურვილისამებრ მოწვეული სპეციალისტი მოახდენს გამოვლენილი დაავადების მართვას, ეს მომსახურება ფასიანია,

რადგან აღნიშნული მომსახურება არ არის გათვალისწინებული სკრინინგ პროგრამით.

- ქალბატონო ია, გამოკვლევის ახალი მეთოდების თვალსაზრისით თუ გაქვთ სიახლეები კლინიკაში?

- გარდა სკრინინგული პროგრამისა, რა თქმა უნდა, გვაქვს სიახლეები გამოკვლევის ახალი მეთოდების თვალსაზრისითაც. გავაძლიერეთ კარდიოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა.

გარდა მაღალტექნოლოგიური თვითდიაგნოსტირებად ელექტროკარდიოგრაფიის, დოპლერექოკარდიოგრაფიისა, ვახდენთ 24 საათიან ელექტროკარდიოგრაფიულ მონიტორინგს ჰოლტერის აპარატით. მისი საჭიროება გამომდინარეობს იქიდან, რომ კარდიოგრამის გადაღების მომენტში შეიძლება პაციენტს არ გამოუმჟღავნდეს რითმის დარღვევის, ანდა იშემიის ეპიზოდი, რომელიც ჩვეულებრივი დღიური აქტივობის დროს აღენიშნება. ეს აპარატი, რომელიც მობილური ტელეფონის ზომისაა, მაგრდება პაციენტის ტანსაცმლის ქვეშ და 24 საათის განმავლობაში ახდენს ყოველწამიერ ჩანაწერს. ამ ხნის განმავლობაში ადამიანს შეუძლია არ შეზღუდოს შრომითი აქტივობა ანუ აგრძელებს ჩვეულებრივი რეჟიმით ცხოვრებას.

24 საათის შემდგომ ბრუნდება ჩვენს კლინიკაში, ჩაწერილი ინფორმაციის გადატვირთვა ხდება სპეციალიზებულ კომპიუტერულ პროგრამაში და ხდება მისი კომპიუტერული დამუშავება მრავალი პარამეტრის მიხედვით. გარდა აღნიშნულისა, ექიმი კარდიოლოგი ახდენს ყოველწამიერად ჩაწერილი "ეკგ" წაკითხვას. ასეთი თანამედროვე ტექნოლოგია მინიმუმამდე ამცირებს უზუსტობას დაავადების დიაგნოსტიკაში.

მინდა აღვნიშნო აგრეთვე ქვედა კიდურების არტერიებისა და ვენების დუპლექს სკანირების მაღალი შესაძლებლობებიც, რომელიც ჩვენს კლინიკაში წარმატებით ვითარდება და ურომლისოდაც სისხლძარღვების დაავადებათა დიაგნოსტიკა შეუძლებელია. ნევროლოგიურ დაავადებათა გამოვლენასა და მკურნალობაში აუცილებელია თავის ტვინის მკვებავი სისხლძარღვების დუპლექს სკანირება, რასაც წარმატებით ვახორციელებთ. ეს საკმაოდ ძვირადღირებული კვლევები ჩვენთან ხელმისაწვდომია მოსახლეობის ნებისმიერი ფენისათვის.

არ შემიძლია არ ვახსენო ენდოსკოპიური დიაგნოსტიკა კუჭ-ნაწლავის დაავადებათა გამოკვლევისათვის, რომელსაც ატარებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გია აზმაიფარაშვილი, ბატონმა გიამ საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა და განავითარა ეს მიმართულება.

გამოცდილ ექიმებს დიდად ეხმარება თანამედროვე წარმოების ევროპული, ამერიკული და იაპონური ბრენდების: GENERAL ELECTRIC, OLYMPUS, PHILIPS, SIEMENS სამედიცინო აპარატურა, რომლითაც შეიძლება იამაყოს ნებისმიერმა ევროპულმა ანდა ამერიკულმა კლინიკამ.

კლინიკაში პაციენტების სიცოცხლე ჩვენი მთავარი საზრუნავია და ძალ-ღონეს არ ვზოგავთ ჩვენი მთავარი მიზნის მისაღწევად - გავუხანგრძლივოთ ადამიანებს სიცოცხლე.

,,ახალი განთიადი,, ეძებს საინტერესო სურათებს რაიონის საგაზეთო ფოტომატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დაგოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ საინტერესო ფოტოები!

შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, ჭრილები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

საანგარიშო კონცერტი და საერთაშორისო ფესტივალი ,,ჰარმონია,,

“მომავლის ვარსკვლავები”

ყოველწლიური, საანგარიშო კონცერტი, რომელიც ივნისის ბოლოს გაიმართა კასპის სამუსიკო სკოლაში, საგულდაგულოდ, დიდი მოთმინებით მზადდებოდა და განსაკუთრებული მოწონებაც დაიმსახურა. ეს იყო მრავალფეროვანი, გემოვნებით შეხამებული და სანახაობრივად ლამაზად გაფორმებული საკონცერტო გამოსვლა.

ემოციურად დატვირთული ტრადიციული საკონცერტო პროგრამის მომზადებაში, რა თქმა უნდა, მონაწილეობდა სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი. კონცერტში მონაწილეობდნენ:

მეორე კლასის მოსწავლე ანანო იმერლიშვილი /პედაგოგ სვეტა ლომსაძის კლასი, კონცერტმეისტერი თეა კორინთელი/, პირველ და მეორეკლასელთა გუნდი /ხელმძღვანელი ზვიად კირვალიძე/, მეორე კლასის მოსწავლე სალომე სამხარაძე /პედაგოგ ნინო ყოჩიშვილის კლასი/, მეორე კლასის მოსწავლე მარიამ დათაშვილი /პედაგოგ ლეილა თათანაშვილის კლასი/, საესტრადო სიმღერების განყოფილების მოსწავლე ნატა ჟივიძე /პედაგოგი ნინო ხუციშვილი, კონცერტმეისტერი ნინო მერებაშვილი/, დოესის სამუსიკო სკოლის მეორე კლასის მოსწავლე თიკა ხეჩიკაშვილი /პედაგოგ ნათია მჭედლიშვილის კლასი/, ზემო ხანდაკის სამუსიკო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეები ანანო ლაფერაშვილი და მეხუთე კლასის მოსწავლე მარიამ მაისურაძე /პედაგოგ მაია ქამხაძის კლასი/, კასპის სამუსიკო სკოლის მეორე კლასის მოსწავლე გიორგი ჯავახიშვილი /პედაგოგ შორენა შეშაბერიძის კლასი/, მეორე კლასის მოსწავლე ლიზი ბერიაშვილი /პედაგოგი და კონცერტმეისტერი თეა კორინთელი/, მეორე კლასის მოსწავლე ხატია გინტური /პედაგოგ ხათუნა ბათილაშვილის კლასი/, საესტრადო სიმღერის განყოფილების მოსწავლეები გურამ ქამხაძე და მიხეილ ჟივიძე /პედაგოგი ნ. ხუციშვილი, კონცერტმეისტერი ნ. მერებაშვილი/, მესამე კლასის მოსწავლე ლუკა ტერტერაშვილი /პედაგოგი თ. კორინთელი/, მესამე კლასის მოსწავლე ლიზი მიდელაშვილი /პედაგოგ ლ. ღვინიაშვილის კლასი/,

მეხუთე კლასის მოსწავლე გურამ ქამხაძე /პედაგოგ ა. ნონიაშვილის კლასი, ილუსტრატორი ქეთევან გაჩეჩილაძე/, მესამე კლასის მოსწავლე ლიზი დათუაშვილი /პედაგოგ თ. კორინთელის კლასი/, მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეები ლიზი და მარიამ სალხინაშვილები /პედაგოგები მანანა სოზიაშვილი და ლეილა თათანაშვილი/, მეოთხე კლასის მოსწავლე გიორგი გარაყანიძე /პედაგოგი ნ. ყოჩიშვილი/, მეოთხე კლასის მოსწავლე ეთერ ბაინდურაშვილი /პედაგოგი და კონცერტმეისტერი ლ. ნონიაშვილი/, მეოთხე კლასის მოსწავლე თეკლა გვარამაძე /პედაგოგ შეშაბერიძის კლასი/, კასპის მუსიკალური სკოლის გაერთიანებული გუნდი /ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი/, მეოთხე კლასის მოსწავლე ნინო სისაური /პედაგოგი ლ. თათანაშვილი/, მეხუთე კლასის მოსწავლე ხატია მამულაშვილი /პედაგოგი ნ. ყოჩიშვილი, ილუსტრატორი ქ. გაჩეჩილაძე/, მეხუთე კლასის მოსწავლე მარიამ სალხინაშვილი /პედაგოგი მ. სოზიაშვილი/, მეხუთე კლასის მოსწავლე ანა-მარია მზარეულაშვილი /პედაგოგი ლ. თათანაშვილი/, მეხუთე კლასის მოსწავლე ხატია მამულაშვილი /პედაგოგი ლ. ნონიაშვილი/, ზემო ხანდაკის სამუსიკო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეები მარიამ და ქეთი მაისურაძეები /პედაგოგი მაია ქამხაძე/, მეექვსე კლასის მოსწავლეები ნატა ხუციშვილი და ანნო ვარდოშვილი /პედაგოგი ნ. ხუციშვილი/, მეხუთე და მეშვიდე კლასის მოსწავლეები ნიკა და მარიამ ბერიაშვილები /პედაგოგი მანანა სოზიაშვილი/, მეშვიდე კლასის მოსწავლე მარიამ ტყემალაძე /პედაგოგი ს. ლომსაძე, ილუსტრატორი ქ. გაჩეჩილაძე/, დოესის სამუსიკო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე ნინო ბეგლარაშვილი /პედაგოგი ნათია ნიორაძე/, საესტრადო სიმღერის განყოფილების გუნდი /პედაგოგი ნინო ხუციშვილი, კონცერტმეისტერი ნინო მერებაშვილი/, მეშვიდე კლასის მოსწავლე მარიამ ბერიაშვილი /პედაგოგი მ. სოზიაშვილი/, საანგარიშო კონცერტი დასრულდა გუნდის /ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი/ გამოსვლით...

ერთი სიტყვით, ტრადიციული გამოსაშვები საზეიმო ღონისძიება, სადაც მსმენელთა წინაშე წარდგნენ საუკეთესო მომადგენლები. სხვათა შორის, კონცერტზე გაიჟღერა ერთ, მეტად საინტერესო ინფორმაციამ, საქმე ის გახლავთ, რომ მიმდინარე სასწავლო წელს კასპელმა პიანისტებმა ნინო სისაურმა /პედაგოგი ლ. თათანაშვილი/ და ანანო იმერლიშვილმა /პედაგოგი ს. ლომსაძე/ მონაწილეობა მიიღეს კლასიკური მუსიკის და ხელოვნების მე-10 საიუბილეო რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსზე – “მომავლის ვარსკვლავები.” კასპელი ნინო სისაური მოხვდა კონკურსის გამარჯვებულთა სიაში და ახალგაზრდა პიანისტმა გალა კონცერტზეც დაუკრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

საანგარიშო კონცერტის დასრულებისთანავე კასპის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები ბორჯომში /5 ივლისიდან 11 ივლისამდე/ გაემგზავრნენ. დიახ, უკვე მერამდენე წელია, ჩვენი ქვეყნის ამ ულამაზეს ქალაქში იმართება კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი სახელწოდებით “ჰარმონია,” რომელშიც საქართველოს გარდა მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის დამწყები მუსიკოს-შემსრულებლები. ამჯერად, ბორჯომს სტუმრობდნენ იტალიის, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის წარმომადგენლები. წლევანდელ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობდა აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოწვეული ორი სოლო მუსიკოს-შემსრულებელი, სულ 500-ზე მეტი მონაწილე.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ აი, ასეთ პრესტიჟულ ფესტივალზე კასპის სამუსიკო სკოლა გამოვიდა მუსიკოს-შემსრულებლები, წლის ერთგვარი შემაჯამებელი კონცერტიც იყო. ზეიმს ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, აპარატის წარმომადგენელი ბ. ბ. ... ...

ლამისყანასა და სამთავისში

"... დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა... წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა"

ილია ჭავჭავაძე.

დიდი ილიას ამ ბრძნული ნააზრევის მეხოტბეები არიან კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის (ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი) მოსწავლეები, რომლებიც დაინტერესებულები არიან ზედმიწევნით შეისწავლონ ჩვენი რაიონის ისტორია, აქ, მარგალიტებად მიმობნეული ციხე-ტაძრების წარსული, იმისათვის, რომ უკეთესი აწმყო ააშენონ და მომავლისაკენ ამაყად იარონ...

უკვე მერამდენე წელია, მოსწავლეთა სახლის (დირექტორი ლელა პეტრიაშვილი) ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის ბავშვები სამუშაო გეგმის მიხედვით, სასწავლო წლის ბოლოს, აწყობენ გასვლით ღონისძიებებს ექსკურსიის სახით, რომლის მარშრუტი ძირითადად მოიცავს კასპის რაიონს...

წინა წლებში ბავშვები ესტუმრნენ სასირეთის გიორგი მაზნიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმს, ინტერესით გაეცნენ საქართველოს გენერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიას, შემდეგ მოინახულეს კავთისხევის ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმი, არ გამოუტოვებიათ კასპის საერო გიმნაზიასთან არსებული რეპრესიების მუზეუმი, ხოლო სულ ახლახან ბავშვები ლამისყანასა და სამთავისს ესტუმრნენ.

ლამისყანაში ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმში გულითადად უმასპინძლეს მოსწავლეებსა და პედაგოგებს. დამთვალიერებლებს სასახლის ისტორია დაწვრილებით გააცნო ექსკურსიამძღოლმა თეონა ბეინაშვილმა, მან მოსწავლეებს გაახსენა გამოჩენილი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ბიოგრაფია, მოუთხრო იმ წყაროს შესახებ, საიდანაც ლეკებმა გაიტაცეს პოეტი.

წრის წევრებმა მასპინძლებს მადლიერების ნიშნად წარუდგინეს ლიტერატურული კომპოზიცია. დიდი მოწონება დაიმსახურა მიხეილ სამხარაძის მიერ წაკითხულმა მონოლოგმა (გოდერძი ჩოხელის რომანიდან "სულეთის კიდობანი," ეპიზოდი "სებას მუზეუმი"). ემოციური, დადებითად დამუხტული იყო პედაგოგ მანანა ყაბანაშვილის გამოსვლაც, მან წაიკითხა საკუთარი ლექსი "კავკასიელი გახლავართ."

ქართველი პოეტების ლექსები მხატვრულად წაიკითხეს მოსწავლეებმა: მარიამ კაციაშვილმა და უჩა გოგოლაძემ.

მოსწავლეებს დიდი დრო დაუთმო სასახლე-მუზეუმის დირექტორმა სოფიო ფავლენიშვიმა, მან ამომწურავად ისაუბრა ჯამბაკურ-ორბელიანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე და შეაქო მოსწავლეები, რომ ასეთ დიდ ინტერესსა და ყურადღებას იჩენენ მშობლიური მხარის იტორიის გასაცნობად.

დღის მეორე ნახევარში ბავშვებმა ლამისყანიდან სამთავისში გადაინაცვლეს.

– სხვათა შორის, ჩვენს მოსწავლეებს სამთავისის ისტორიული ძეგლი სხვა დროსაც უნახავთ, – აცხადებს კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი, – მაგრამ დამეთანხმებით, ალბათ, ეს უნიკალური ქმნილება, დიახ, "ქვაში აჟღერებული ჰარმონია", ყოველთვის განუმეორებელ განცდას იწვევს მნახველზე, განსაკუთრებით კი, მოზარდებზე, ამიტომ ურიგო არ იქნება, თუ სახელოვან წარსულს კულტურულ ძეგლებს ხშირად მოინახულებენ მოსწავლეები.

მოსწავლეებსა და პედაგოგებს გასვლითი ღონისძიების მომზადებასა და ორგანიზებაში დაეხმარა კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა ექსკურსიაზე მყოფ ბავშვების მშობლებს აქტიურობისა და მხარდაჭერისათვის...

აი, ასე ნაყოფიერად, საინტერესოდ აღნიშნეს სასწავლო წლის დასასრული მოსწავლეებმა. მათთან ერთად იმყოფებოდნენ მშობლები (მარი სულაშვილი, მარიამ კანთელაშვილი), რომლებმაც მადლობა გადაუხადეს პედაგოგებს ბავშვებზე ზრუნვისათვის.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

*** დასასრული.**

ხატია მამულაშვილი, თეკლა გვარამიძე, სოლისტი ანა მუზიაშვილი, ხატია მაისურაძე/, ასევე საესტრადო სიმღერები... კასპელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საკონკურსოდ წარდგენილი ხუთი მუსიკალური ნომრიდან, ჟიურიმ ორი ნომერი გამარჯვებულად და ფესტივალის გალა კონცერტის მონაწილედაც გამოაცხადა... უფრო კონკრეტულად კი, უნდა იცოდეთ, რომ კასპელი მოსწავლის მიხეილ ჟივიძის დებიუტი ამჯერად ძალიან იღბლიანი გამოდგა, დიახ, იგი პირველად მონაწილეობდა ასეთ წარმომადგენლობით მუსიკალურ ღონისძიებაზე და პატარა ქართველმა მუსიკოს-შემსრულებელმა არა მარტო ჩვენებურები მოხიბლა თავისი გამოსვლით /შეასრულა გია ყანჩელის საყოველთაოდ ცნობილი, ეროვნული ჰიტი, "ჰერიო ბიჭებო"/, არამედ ფესტივალზე მყოფი უცხოელებიც მონუსხა. ამდენად, მიხეილ ჟივიძეს /პედაგოგი ნინო ხუციშვილი, კონცერტმეისტერი ნინო მერებაშვილი/ კონკურსის ლაურეატის გარდა ვირტუოზი შემსრულებლის სტატუსიც მიენიჭა. ხოლო რაც შეეხება ფესტივალის მეორე ლაურეატს, მეორე კლასის მოსწავლეს გიორგი ჯავახიშვილს / პედაგოგი შორენა შეშაბერიძე/, როგორც თვითმხილველები ამბობენ, მას ჰქონდა ტრიუმფალური საფორტეპიანო გამოსვლა.

საანგარიშო კონცერტი და საერთაშორისო ფესტივალი „ჰარმონია„

"მომავლის ვარსკვლავები"

გიორგიმ შეასრულა ურთულესი მუსიკალური კომპოზიცია, რომელიც აგებულია ქართული ფოლკლორის უნიკალურ ნაწარმოებზე "მზე შინა და მზე გარეთა", მუსიკა ეკუთვნის ცნობილ ქართველ კომპოზიტორს ელიზბარ ლომდარიძეს. ამდენად გიორგიმ მიიღო სიგელები: ქართული მუსიკის ვირტუოზული და საუკეთესო შესრულებისათვის.

– აი, ასეთი ნაყოფიერი და რეზონანსული იყო წლევანდელი /2016-2017/ სასწავლო წელი, – აცხადებს მუსიკალური სკოლის დირექტორი შორენა შეშაბერიძე, – ჩვენი პატარა მუსიკოს-შემსრულებლების მიღწევების ბოლო აკორდი გახლდათ საერთაშორისო ფესტივალი, სადაც სპეციალურად დაწესებული ოთხი პრიზიდან, ერთი კასპის სამუსიკო სკოლას გადაეცა. ეს არის ჩვენი პედაგოგიური კოლექტივის, ჩვენი მოსწავლეების დიდი გამარჯვება და აღიარება, რასაკვირველია, ეს კიდევ უფრო გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ხელს შეუწყობს პატარა მუსიკოსების გემოვნების ჩამოყალიბებას და დახვეწას.

მართლაც რომ, სასიამოვნო და მხიარული განწყობით დაიწყო პატარებისათვის საზაფხულო არდადეგები.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი." ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

გამოგვეხმაურეთ!

მაია ქეი ქვარცხავა

წყვია ქართულ სანელებლებში - ცხელ ყვალზე /იბეჭდება შემოკლებით/

ჩვენ მრავალი წელია ვამოწმებთ ქართული სანელებლების უამრავ ნიმუშს (ბოლოს ეს მოხდა 2017 წელს) და ზოგიერთ მათგანში გამუდმებით ვპოულობთ განსაკუთრებით მაღალი დონის ტყვიის შემცველობას - უთხრა ამერიკის ხმას ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის პრესსპიკერმა კაროლინა როდრიგესმა. მისი თქმით, დეპარტამენტი ვალდებულია ეს ინფორმაცია პოტენციურ მომხმარებლებში რუტინულად გაავრცელოს. შესაბამისად, ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტმა იმპორტირებულ ქართულ პროდუქტში ტოქსიკური ლითონის მაღალი შემცველობის გამო, არაერთხელ მიმართა საქართველოს გენერალურ საკონსულოს ნიუ-იორკში. კერძოდ, ეს მოხდა 2011 და 2015 წლებში, რათა მათ ადეკვატური რეაგირება მოეხდინათ: შეეტყობინებინათ სანელებლების სავარაუდო მომხმარებლებისთვის და ეცნობებინათ შესაბამისი უწყებებისთვის საქართველოში, საქმის შემდგომი გამოძიების მიზნით.

შეერთებული შტატების საკვების და მედიკამენტების ადმინისტრაციის მიერ დაწესებული ტყვიის შემცველობა საკვებ პროდუქტში, მაგალითად ტკბილეულში, არ უნდა აღემატებოდეს 0.1 -ს (0.1 ერთეულს მილიონზე). საქართველოდან ჩამოტანილი სანელებლების და შეზავებული სუნელების ნიმუშებში ტყვიის შემცველობა ზოგჯერ ძალიან მაღალია და 27 000 -ს აღწევს.

ჯანდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელს ამერიკის ხმა 30 ივნისს ესაუბრა. საინტერესოა, როგორ იგებს არსებული პრობლემის შესახებ ჯანდაცვის დეპარტამენტი და ზოგადად, რა ეტაპზე ხდება ამ უწყების საქმეში ჩართვა? ამერიკაში იმიგრირებულ ათამდე ქართველ მშობელთან გასაუბრების შემდეგ, რომელთა სახელების და გვარების დასახელების უფლება არ გვაქვს, რადგან უმეტეს შემთხვევაში, საქმე არასრულწლოვანი ბავშვების ჯანმრთელობის ინფორმაციას ეხება, გავარკვიეთ, რომ სისხლის ანალიზში ტყვიის მაღალი დონის აღმოჩენის დროს, ექიმის ოფისი ვალდებულია ჯანდაცვის ადგილობრივ დეპარტამენტს შეატყობინოს.

დიაგნოზის დასმა ძირითადად ხდება ორსულ ქართველ ქალებში, რომლებიც ექიმებთან ყველაზე აქტიურად დადიან, ან ბავშვებში, უმეტესად, დაწყებითი სკოლის მოსწავლეებში, რომელთაც სკოლაში წასასვლელად ექიმის ცნობა მოეთხოვებათ. ორსულ ქალებს, რომლებსაც სისხლში ტყვიის მაღალი შემცველობა აქვთ, ხშირად შვილი მსგავსი დიაგნოზით უჩნდებათ.

კაროლინა როდრიგესის თქმით, თუკი პაციენტის სისხლში ტყვიის შემცველობა 10 მგდლ-ზე მეტია, სააგენტოს ტყვიით მოწამვლის პრევენციის პროგრამა მასთან გასაუბრებას და მის საცხოვრებელ სახლში გამოძიებას იწყებს. ამ დროს სახლის სხვადასხვა ზედაპირიდან და საჭვო პროდუქტებიდან სინჯებს იღებენ, ტარდება მათი ლაბორატორიული გამოკვლევა და ხდება პოტენციური წყაროების იდენტიფიცირება. ამის შემდეგ, თუკი ტყვიის წყაროს წარმომავლობა დადგინდა, კონტროლი უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გრძელდება, სანამ მისი სრული ელიმინაცია და მომავალში რისკების მინიმუმზე დაყვანა არ მოხდება.

ტყვიასთან შეხებას ადამიანის ორგანიზმის თითქმის ყველა სისტემის დაზიანება შეუძლია. იმის გამო, რომ ამ დროს პაციენტს გამოკვეთილი სიმპტომები არ აღენიშნება, მოწამვლა ძალიან ხშირად შეუმჩნეველი რჩება.

ტყვია არის ნიადაგში, წყალში, დაბინძურებულ ჰაერში და შესაბამისად, საკვებშიც. ერთ-ერთი წყაროა კოსმეტიკური საშუალებები და ძალიან ცნობილი - ინდუსტრიული საღებავი, რომლითაც ღებავენ სახლებს, ავეჯს, ნივთებს და საიდანაც ის ხვდება ჰაერში და შესაბამისად, ადამიანის, ცხოველის, თუ ფრინველის სასუნთქ ორგანოებში.

ტყვია მძიმე ლითონია, რომლის ტოქსიკურობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის დოზაზე, ხანგრძლივობაზე, მიღების გზაზე, ასაკზე, სქესზე, გენეტიკაზე და ასე შემდეგ. მაღალი ტოქსიკურობის და სისტემური ტოქსიკურობის გამო, ის რამდენიმე სხვა ელემენტთან ერთად, სახელმწიფო ჯანდაცვის პრიორიტეტად ითვლება, რადგან მცირე დოზასთან შეხებასაც კი ადამიანის ბევრი ორგანოს დაზიანება შეუძლია. ამერიკის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის განმარტებით, ტყვია ადამიანის ორგანიზმში შეიძლება მოხვდეს შესუნთქვით, ჭამის პროცესში, სითხის დალევის დროს, ან კანთან შეხებით.

ტყვიას კანცეროგენული, ანუ კიბოს პოტენციურად გამომწვევი ნივთიერების კლასიფიკაციას აძლევს ჯანდაცვის რამდენიმე წამყვანი ორგანიზაცია. ტყვიას და მის მინაერთებს კანცეროგენულად მიიჩნევს შეერთებული შტატების ეროვნული ტოქსიკოლოგიის პროგრამა, რომელშიც ერთიანდება რამდენიმე სამთავრობო სააგენტოს ნაწილი. მათ შორისაა: ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტი, დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრი და საკვების და მედიკამენტების ადმინისტრაცია. ტყვიას კანცეროგენულად თვლის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოც.

ტყვია აღწევს თავის ტვინში, ღვიძლში, თირკმელებში და ძვლებში. დროთა განმავლობაში მისი აკუმულირება კბილებში და ძვლებში ხდება. ძვალში არსებული ტყვია ორსულობის დროს ორგანიზმში გამოდის და ნაყოფს რისკის ქვეშ აყენებს. სისხლში ტყვიის მაღალი დონე განსაკუთრებით საშიშია პატარა ბავშვებისთვის, საშუალოდ, 6 წლამდე. დიდი რაოდენობით ტყვიას იერიში თავის ტვინზე და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მიაქვს. დიდ და ხანგრძლივ დოზას შეუძლია გამოიწვიოს კომა, კონვულსიები და სიკვდილიც კი. შედარებით ნაკლები დოზით მიღებისას, ბავშვებს შესაძლოა განუვითარდეთ გონებრივი, ან ფიზიკური ჩამორჩენილობა, ქცევითი აშლილობები, კოორდინაციის გაძნელება, კუნთოვანი სისუსტე, ანემია, ჰიპერტენზია და ნევროლოგიური დარღვევები, რომელთა გამოსწორებაც შემდგომში შეუძლებელი ხდება.

არის თუ არა ტყვია მართლა მარტო ქართულ სანელებლებში, თუ საქართველოდან ჩამოტანილ დანარჩენ საკვებ პროდუქტშიც? ჯერჯერობით ამ კითხვაზე კვალიფიციური პასუხი არ გვაქვს, რადგან სხვა პროდუქტი ჩვენს მიერ გამოკითხულთა შორის, ლაბორატორიულად არავის შეუმოწმებია. ქართველი იმიგრანტების უმეტესი ნაწილი, რომელთაც ჩვენ გავესაუბრეთ, ეჭვობს, რომ ტყვია, შემოწმების შემთხვევაში, შესაძლოა ბევრ სხვა ქართულ პროდუქტშიც იპოვონ, რომელიც სუნელივით ბაზარში და ქუჩაში ღიად იყიდება და საექსპორტოდ გათვალისწინებული არ არის. ამ ვარაუდის საფუძველს მათ ის ფაქტი აძლევს, რომ ამერიკული ჯანდაცვის დეპარტამენტის შემოწმებისას, ქართული საკვები პროდუქტიდან სახლში მხოლოდ სანელებლები აღმოაჩნდათ, რომელიც თვეობით ინახება. თუმცა, ეს მხოლოდ მათი ეჭვია.

უნდა ითქვას ისიც, რომ ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის გაფრთხილებაში სახელდება ბანგლადეშის სანელებლებიც; თიხის ჭურჭელი, რომელიც დამზადებულია მექსიკაში, ეკვადორში, თურქეთში და უზბეკეთში; სხვადასხვა ქვეყნის კოსმეტიკური, თუ რელიგიური დანიშნულების ნაწარმი; ბავშვის სათამაშოები და მოზრდილთა სამკაულები.

ტოქსიკური ლითონის მაღალი შემცველობის ქართულ სანელებლებს შორის ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ დასახელებულია: ყვითელი ყვავილი, ან ზაფრანა; სვანური მარილი; ხმელი სუნელი, ან ხარჩოს სუნელი; მწარე წიწაკა, დაფქვილი ჩილი, წიწაკა, დაფქვილი კერი, კოჭა, ქინძი და კვლიავი; ქართული მარილი, ან სვანური მარილი; უცხო სუნელი, ან შამბალა; მშრალი აჯიკა; საცივის სუნელი.

გაფრთხილების დასასრულს, ჯანდაცვის დეპარტამენტი შემდეგ რეკომენდაციას იძლევა: თუ თქვენ მიიღეთ სანელებლები საქართველოდან, სთხოვეთ თქვენს ექიმს, ჩაგიტაროთ სისხლის ანალიზი ტყვიაზე. თუ არ გყავთ ექიმი, დახმარების მისაღებად, დარეკეთ 311-ზე. განცხადება ჯანდაცვის დეპარტამენტის ვებგვერდზე ინგლისურ და ქართულ ენებზეა გამოქვეყნებული.

რამდენად ხშირია საქართველოდან ახლადჩამოსულებში ტყვიის მაღალი დონე? ამ კითხვით წარმოშობით ქართველ, ნიუ-იორკში მცხოვრებ პედიატრს, მაიკლ ჰანანს მივმართეთ, რომელსაც ექიმის ოფისი ბრუკლინში აქვს გახსნილი. ბრუკლინში ქართველი იმიგრანტები ყველაზე მჭიდროდ სახლობენ და როგორც მაიკლმა გვითხრა, მისი პაციენტების სულ ცოტა, 35 პროცენტი ქართული დიასპორის წარმომადგენელია.

მე შემიძლია გითხრათ ერთი რამ, რომ ეს პრობლემა ახალი არ არის

და 2008 წლიდან ფიქსირდება. ბავშვები ჩამოდიან საქართველოდან და მათ სისხლში ტყვიის მაღალი შემცველობა აქვთ. ჩემთვის საკვირველია, იმიტომ რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებიდანაც მოდიან ჩემთან, რა თქმა უნდა. ბევრია შუა აზიის ქვეყნებიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან. არ ვიცი, საიდან არ ჩამოდიან, მაგრამ უმეტესად, ქართველ ბავშვებს აქვთ ეს პრობლემა - ამბობს ის.

ტყვიის მაღალი დონე ექიმ ჰანანის მიერ გასინჯულ პაციენტებში, საშუალოდ ყოველ მე-10 ქართველ ბავშვს აღენიშნება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართულ იმიგრაციაში მსგავსი პრობლემა შესაძლოა გაცილებით მეტს აღმოაჩნდეს, რადგან ამ დიაგნოზის მქონე ადამიანები, სიმპტომატიკის არქონის გამო, ექიმს, როგორც წესი, იშვიათად მიმართავენ.

2014 წლის აპრილში, 100 000-იანი მოსახლეობის მქონე, გაკოტრების პირას მისული ქალაქის მერიამ გადაწყვიტა, რომ სასმელ წყალზე ფული დაეზოგა და წყაროდ დროებით არა ტბა ჰურონი, არამედ მდინარე ფლინტი გამოეყენებინა. მდინარის წყალმა, რომელიც თურმე, გაცილებით უფრო მაღალი მჟავიანობით გამოირჩეოდა, ძველი წყალსადენი მილების დამცავი საფარი დაუზიანა და წყალში ტყვიის გაჟონვა მოხდა. წყალი მოსახლეობას დაახლოებით 2 წლის მანძილზე წამლავდა. ექიმები თავიდან ერთდროულად ბევრ ადამიანზე დაწყებულმა გამონაყარმა და თმის გათხელებამ დააფიქრა. მოგვიანებით, მოსახლეთა სისხლში ტყვიის მაღალი შემცველობა დაფიქსირდა და ექიმებმა განგაშის ატეხვა სცადეს, მაგრამ ქალაქის თავები ამბის მიჩქმალვას შეეცადნენ. გაირკვა, რომ ტყვიის შემცველობა ნორმას 40 პროცენტით აღემატებოდა. ამბავი, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გახმაურდა, ნაციონალურ მედიაში სკანდალი ატყდა და 2016 წლის იანვარში ქალაქში საგანგებო მდგომარეობაც კი გამოცხადდა.

მოგვიანებით, ფლინტში წყალსადენი მილების გამოცვლა დაიწყო, რომელიც დღესაც გრძელდება და დაახლოებით 2020 წელს დასრულდება. იმის მიუხედავად, რომ ტყვიის შემცველობა წყლის ბევრ სინჯში უკვე ნორმასთან ახლოსაა, ფლინტის მოსახლეობას 2020 წლამდე მაინც მხოლოდ ბოთლის წყლის დალევას ურჩევენ.

და ბოლოს: 2016 წელს, როცა ფლინტში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, სასმელი წყლიდან აღებულ ნიმუშებში ტყვიის რაოდენობა 0.005—ს უდრიდა. შეერთებულ შტატებში სასმელი წყლისთვის დასაშვები ნორმაა 0.015 . ქართულ სანელებლებში ნაპოვნი ტყვიის რაოდენობა ზემოთ მოგახსენეთ, ამასთან, სულ ცოტა - 7 წლის მანძილზე, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილზე ნაყიდ სანელებლებში.

შემოქმედებითმა ცხოვრებამ ნაწილოვანი ჩავიარა

ჩვენი ქალაქის კულტურის ცენტრში გაიმართა დავით ჯავრიშვილის სახელობის კასპის მუნიციპალიტეტის ბავშვთა სახალხო, სახალხო-სანიმუშო ცეკვის აკადემია "დიდგორის" (არსებობის 34 წლისთავი) შემოქმედებითი საღამო.

დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა, აქ იყვნენ დიდგორელთა თითქმის ყველა თაობის წარმომადგენლები, ქართული ქორეოგრაფიის თაყვანისმცემლები, მოცეკვავეების მშობლები, ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, სპეციალურად მოწვეული სტუმრები დედაქალაქიდან...

შემოქმედებით საღამოზე იმყოფებოდნენ: საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი რევაზ ჭანიშვილი, ქორეოგრაფთა კავშირის სარევიზიო ჯგუფის ხელმძღვანელი გოჩა გრძელიშვილი, შიდა ქართლის გუბერნატორი კახა სამხარაძე, მისი მოადგილე იოსებ ოქრომელიძე, შიდა ქართლის ტურისტული კავშირის თავმჯდომარე რობერტ მაღლაკელიძე, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, მისი მოადგილე კულტურის დარგში ჯამბოლატ ქამხაძე, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი თეა ხორბალაძე, კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი, მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი მეზურნიშვილის პიარ-მენეჯერი ხატია ბაინდურაშვილი.

საიუბილეო, საზეიმო კონცერტი ორსაათნახევარზე მეტხანს გაგრძელდა, ეს იყო ქართული კულტურისა და ხელოვნების ნამდვილი ზეიმი და ჩვენმა სახელოვანმა მოცეკვავეებმა კიდევ ერთი დაუვიწყარი საღამო აჩუქეს ერთგულ მაყურებელს.

ცეკვის აკადემია "დიდგორი" (სამხატვრო ხელმძღვანელი – ბრწყინვალების ორდენის კავალერი ქეთევან მონასელიძე, მთავარი ქორეოგრაფი – ამაგდარისა და ქორეოგრაფიის დესპანის მფლობელი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფი – დარინა პაპაშვილი) ამჯერადაც მრავალფეროვანი პროგრამით გამოვიდა მაყურებლის წინაშე.

სულ შესრულდა 14 ცეკვა, ესენია: "სადარბაზო," "ფრესკა," "ოსური," "აბრაგული," "ქართლ-კახური," "რაჭა ჩემი სიყვარულია," "პოპური," "აჭარული," "ლაზური," "ჩეჩნური," "აჭარული მოტივები," "აფხაზთა როკვა," "ჯუთა" და კომპოზიცია – "ქართველების ერთად ყოფნა"...

– მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა ჩემთვის დიდგორელთა წარმატებული გამოსვლა, მოხიბლული ვარ, აღფრთოვანებას ვერ ვმალავ, – აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას რეზო ჭანიშვილმა, – თქვენ წარმოიდგინეთ, სახელმწიფო ანსამბლსაც კი გაუჭირდებოდა შესვენების გარეშე, ორი საათი სცენაზე დგომა, ეს იყო ზღაპრული სანახაობა, თვალს ვერ ვაცილებდი მოცეკვავეებს, თვალისმომჭრელი იყო მათი სამოსი, ფერთა გამა და შინაარსი, სინაზე და სისხარტე, შესრულების მანერა, ტექნიკურად დახვეწილი ცეკვები ბევრს მოინადირებს, სინქრონი და მოცეკვავეთა სახის გამომეტყველება ხომ მრავლის მთქმელია, ერთი სიტყვით, ყველაფერი შთამბეჭდავია, ცეკვის დასაწყისი, განვითარება და კულმინაცია ერთმანეთს ავსებენ.

ბატონ რეზო ჭანიშვილის სიტყვით გამოსვლის შემდეგ ცეკვის აკადემია "დიდგორს" მიესალმნენ, წარმატებები მიულოცეს, ანსამბლს სამახსოვრო საჩუქრები და ყვავილების თაიგულები გადასცეს შიდა ქართლის გუბერნატორმა კახა სამხარაძემ, მისმა მოადგილემ იოსებ ოქრომელიძემ, შიდა ქართლის ტურისტული კავშირის თავმჯდომარემ რობერტ მაღლაკელიძემ.

– სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ანსამბლი "დიდგორი" არსებობს და ამ სახელოვანმა ქორეოგრაფიულმა კოლექტივმა ამ ხნის განმავლობაში ბევრი თაობა აღზარდა და დააკვალიანა, არაერთხელ ასახელა რაიონი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ფარგლებს გარეთაც და მაყურებლის სიყვარული მოიპოვა, – განაცხადა თავის მისასალმებელ სიტყვაში კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, – დიდგორელების გამოჩენა სცენაზე ყოველთვის შთამბეჭდავი და სიამაყის მომგვრელია, მადლობას ვუხდი მათ გაწეული შრომისა და აქტიურობისათვის.

შემოქმედებით საღამოს საინტერესოდ უძღვებოდა და დიდგორელებს თავისი ერთ-ერთი ცნობილი სიმღერაც მიუძღვნა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა, რადიო "არ დაიდარდოს" წამყვანმა ლაშა რამიშვილმა.

დაბოლოს, ცნობილი გახდა ისიც, რომ "დიდგორი" მიწვეული იყო ქალაქ თბილისში სახელმწიფო ფილარმონიაში გამართულ საზეიმო კონცერტზე, რომელიც მიეძღვნა ლეგენდარული ანსამბლის "სუხიშვილების" ერთ-ერთი დამაარსებლის, უმშვენიერესი ნინო რამიშვილის ხსოვნას და სწორედ ამ ღონისძიებაზე საზეიმო ვითარებაში მიენიჭა "დიდგორის" სამხატვრო ხელმძღვანელს ქეთევან მონასელიძეს "სახალხო ქორეოგრაფის" საპატიო წოდება.

ქალბატონ ქეთევანს და მთელ შემოქმედებით კოლექტივს ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებს!

დედას და მამას ალბათ ხშირად უსვამთ შეკითხვებს. ისინი გპასუხობენ და შენც დიდი ყურადღებით უსმენ. არსებობს შეკითხვები, რომლებსაც ძალიან ბევრი შენი თანატოლი სვამს ხოლმე. ახლა ამ სიას ჩამოგიწერ. შენ შეიძლება ბევრი მათგანის პასუხი უკვე იცი. ყურადღებით წაიკითხე და დაფიქრდი. თუ პასუხი დანამდვილებით არ იცი, მაშინ იქნებ გამოიცნო, თუ ვერ გამოიცნობ, მაშინ აუცილებლად გაიქეცი შენს მშობლებთან და ჰკითხე.

მაშ ასე, ცეცხლი აინთო, თამაში დაიწყო:

1. რატომ არის წელიწადში სეზონები, რა იწვევს წელიწადის დროების ცვლას?

2. რატომ იცვლიან ფოთლები ფერს შემოდგომაზე?

3. რომელ დედამიწელ ძუძუმწოვარს აქვს ყველაზე დიდი თვალები?

4. რატომ აქვს ქარს ხმა?

5. არსებობდნენ თუ არა ოდესმე გამოქვაბულის ადამიანები?

6. განსხვავდებიან თუ არა ვარსკვლავები ერთმანეთისგან?

7. რატომ არის დღის შუქი სასარგებლო?

8. საიდან ჩნდება ცისარტყელა?

9. რატომ აქვთ ფრთები იმ ფრინველებს, რომლებიც ვერ დაფრინავენ?

10. არიან თუ არა დინოზავრები ნახსენები ბიბლიაში?

ახლა მითხარი, რამდენ შეკითხვას უპასუხე? რამდენი მათგანი დაუსვი მშობლებს? და იყო თუ არა ისეთი რაღაცები, რაზეც არასოდეს გიფიქრია? თუ არ დაგეზარება, შეგიძლია პასუხები რედაქციას გამოუგზავნო და აუცილებლად დავბეჭდავთ, რომ სხვა ბავშვებმაც გაიგონ.

თქვენი ყიხურა

წიგნი – წამალი და უფრო მეტი

ერთხელ, პატარა შვედი გოგონა კარინი ავად გახდა. ლოგინში იწვა და რამდენიმე დღით სკოლის გაცდენაც მოუწია. ცხრა წლის კარინმა დედიკოს სთხოვა მისთვის გამოსაჯანმრთელებელი ისტორია ეამბნა. სხვამ ვინ იცოდა, თუ არა კარინმა, რომ დედას, სახელად ასტრიდს, ყოველთვის გამოსდიოდა საინტერესო და თავბრუდამხვევი ამბების მოყოლაც და დაწერაც. ასტრიდ ლინდგრენი დღეების განმავლობაში სასთუმალთან ეჯდა სიცხიან გოგოს, აჭმევდა ცხელ წვნიანს, ხველების ოქროსფერ სიროფს აყლაპებდა და გაუთავებლად უყვებოდა თავზეხელაღებული ბავშვის ისტორიას.

კარინი გატაცებით უსმენდა ზღაპარს პეპილოტა ვიქტუალინა როლგარდინა ეფრაიმსდოტერ გრძელი წინდას შესახებ. მერე ამ რვა წლის წითურთმიან და ნაწნავებიან გოგონას მოფერებით პეპიც შეარქვა და იგი ისე შეუყვარდა, როგორც შემდგომში მსოფლიოს ყველა ბავშვს.

პეპი გრძელი წინდა მაგარი ტიპი აღმოჩნდა. მისი ჩაცმულობაც კი დასამახსოვრებელია. ბავშვობაში სულ მინდოდა მასავით უზარმაზარი ფეხსაცმელები მქონოდა, გრძელი, ზოლიანი წინდები და ფართხუნა კაბა მცმოდა. კიდევ, როცა ვბრაზდებოდი, მაშინვე სარკეში ვიხედებოდი, მაინტერესებდა, პეპივით გამითეთრდებოდა თუ არა ცხვირის გარშემო კანი. რაც მთავარია, დღემდე მშურს გოგონების, რომელთაც წითური თმები და ლამაზი, საყვარელი ჭორფლები აქვთ.

ხანდახან შეიძლება იფიქრო მშობლების გარეშე, დამოუკიდებლად ცხოვრებაზე. აი, მანდ გამოჩნდება რა ჩიტიც ხარ. პეპისაც უწევდა შვედეთის პაწია ქალაქში მდებარე ვილა "ყიყლიყოში" მარტო ყოფნა. თვითონ იმზადებდა საჭმელს, რეცხავდა ჭურჭელს და აგვარებდა საქმეებს. რომ დაფიქრდე, კარგადაც გამოსდიოდა, თუმცა, ისე არა, როგორც უფროსებს. მისთვის ყოველი საყოფაცხოვრებო მოვლენა საოცარ და ზღვარგადასულ თავგადასავალს უკავშირდებოდა. თუნდაც ის რად ღირს,

რომ სახლში შემოჭრილ ქურდებს აიძულებდა მთელი ღამე მასთან ტვისტი ეცეკვათ, შემდეგ კი ოქროს მონეტებით აჯილდოებდა.

თუმცა, პეპი მთლად მარტოსულიც არაა. იგი საყვარელ მაიმუნ ბატონ ნილსონთან და ცხენთან ერთად ცხოვრობს. მეზობლად კი მისი საუკეთესო მეგობრები – და-ძმა ტომი და ანიკა სეტერგრენები ჰყავს. პეპი არასოდეს ემორჩილება უფროსებს და მათი მცდელობები, ეს თავზეხელაღებული გოგო ჭკუაზე მოიყვანონ, კრახით მთავრდება. მიუხედავად ამისა, პეპი ყოველთვის თბილია თავისი მეგობრების მიმართ და მათ ხიფათში არ ჩააგდებს.

სად არიან პეპის მშობლები? თვითონ ამბობს, რომ დედა ანგელოზად გადაიქცა, ხოლო მამა კურეკურედუთის კუნძულზე ხელმწიფედ აირჩიეს. იქაურმა ხალხმა კაპიტან გრძელი წინდას "თეთრი მსუქანი შეფი" უწოდა.

ბოლოს და ბოლოს, პეპის ბეზრდება ვილა ყიყლიყოში ცხოვრება და კუნძულზე მამის მოსანახულებლად გადაწყვეტს გამგზავრებას. თქვენ იკითხავთ, როგორ შეძლებს ეს სიფრიფანა რვა წლის გოგო სამხრეთის ზღვის გადალახვას და მრავალ წინააღმდეგობასთან შეჭიდებას. ალბათ, პეპის არ გაუჭირდება ამის გაკეთება, რადგან ცალი ხელით წაქცეული ცხენის აყენება შეუძლია, იუმორის გრძნობა აქვს, არაფრის ეშინია და ადამიანებს სამართლიანად ექცევა. პეპი გრძელწინდას შესახებ ასტრიდ ლინდგრენმა რამდენიმე წიგნი დაწერა. შეგიძლია მაშინაც წაიკითხო, როცა ავადმყოფობის გამო სკოლის გაცდენა არ მოგიწევს. თუ მაღალი სიცხე გექნება და მაინც ჩაწვები ლოგინში, დედა საბანს ამოგიგებს და პეპის გასაოცარ ისტორიას გადმოგცემს. მერე ვერც გაიგებ, ისე ადვილად გამოჯანმრთელდები.

გილოცავთ

ქართული სიმღერის მსახურს, უბერებელ იზაბელა კობაიძვილს გულითადად ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ულევ სიხარულს საყვარელ ოჯახთან ერთად!

რუსუდან ხეჩუაძვილი,
ნანა მერებაშვილი.

შეგიძლიათ, მოგვწოლთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, ბრნები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

მეფე გაბრაზდა და რამდენიმე ჩემოდანი მიჭამა

საფოსტო მარკების შეგროვება უამრავი ბავშვის და უფროსის საყვარელი საქმიანობაა. ჯერ მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში ოცი მილიონი კოლექციონერი დაიარება. მათ ყველას აქვს ისეთი ხელსაწყოები, რომლებიც ძალიან, ძალიან გამოგადგება, თუ ოდესმე მარკების შეგროვებას გადაწყვეტ.

პირველ რიგში, დაგჭირდება ალბომი, რომლის ფურცლებსაც პლასტიკური საფარველი მოჰყვება – მარკას რომ ჩააკრავ, აუცილებლად უნდა დაიცვა დაზიანებისგან, თორემ მალე გაცვდება. ასევე გამოგადგება პერგამენტის სიფრიფანა ფურცლებიც. არ დაგავიწყდეს, მარკების კოლექციისგან ნამდვილი სიამოვნება რომ მიიღო, გამადიდებელი შუშაც უნდა გქონდეს. ახლოდან დააკვირდები ქაღალდის ამ ციცქნა ნაგლეჯს, რომელზეც დიდი ოსტატობითაა გავლებული თითოეული, თითქმის შეუმჩნეველი შტრიხი. რაც მთავარია, იმისთვის, რომ მარკა დაუზიანებლად ჩააკრა ან ერთი ადგილიდან მეორეზე გადააადგილო, აუცილებლად გამოიყენე პატარა რკინის მაშა ბრტყელი დაბოლოებით. ახლა, როცა უკვე იცი რა ნივთები გჭირდება კოლექციის შესაქმნელად, მოდი, მარკების და მათი შეგროვების ისტორიაზე გადავიდეთ.

ამ შემგროვებლობის დასაწყისი მარკების გამოსვლის თარიღს უკავშირდება. პირველად ეს პაწია კვადრატები 1840 წელს გამოჩნდა. წერილს ან ამანათს ისე ვერ გააგზავნიდი, თუ მარკა არ ჰქონდა დაკრული. ამბობენ, რომ სულ პირველი ადამიანი, რომელმაც კოლექციის შექმნა დაიწყო, პარიზელი გრავიურისტი მანსენი იყო. ზუსტად თხუთმეტი წლის გასვლის შემდეგ მანსენს ყველა მარკა ჰქონდა, რაც კი ამ წლების განმავლობაში გამოუშვეს. მან თავისი ძვირფასი კოლექცია ვაჭარ ედუარდ ლაპლანტს მიჰყიდა და საბოლოოდ გათავისუფლდა ამ გატაცებისგან. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი ამბობს, რომ მარკების შეგროვების მანიით შეპყრობილი პირველი ადამიანი ბრიტანელი ზოოლოგი ჯონ გრეი იყო. ალბათ, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი იყო პირველი – მანსენი თუ გრეი. მალე მარკების შეგროვება ყველაზე, ყველაზე პოპულარულ საქმიანობად იქცა. კოლექციონერები უკვე ორგანიზაციებშიც ერთიანდებოდნენ და სხდომებსაც კი აწყობდნენ ხოლმე. ეს თურმე, ზოგიერთი მონარქის გატაცებაცაა. ესპანეთის მეფე ალფონს მეცამეტემ დიდი ქონება დახარჯა თავისი კოლექციის შესავსებად. როცა მის ქვეყანაში რევოლუცია მოხდა, ალფონსი გარბოდა და თან მარკებით სავსე რამდენიმე ჩემოდანი მიჰქონდა. იგივე ბედი ეწია ეგვიპტის მეფე ფარუკ პირველს, რომელმაც 1952 წლის გადატრიალების შემდეგ ევროპაში გადაცურა და თავისი კოლექცია აუქციონზე ძალიან ძვირად გაყიდა. თუმცა, ფარუკი გამოიჭირეს. აღმოჩნდა, რომ მან ნამდვილებთან ერთად რამდენიმე ათეული ყალბი მარკაც მიასაღა მდიდარ ევროპელებს.

მარკების შეგროვება, მართლაც რომ მეფური საქმიანობაა. კოლექციონერებისთვის უამრავი ჟურნალი გამოდის, სადაც ყველაფერი წერია სხვადასხვა მარკის წარმომავლობისა და ადგილმდებარეობის შესახებ. მოკლედ, თუ გადაწყვეტ ამ საქმეს შეუდგე, ბევრ საინტერესო ამბავს გაიგებ, იმიტომ, რომ თითოეულ მარკას თავისი ისტორია აქვს. წარმატებულ კოლექციონერობას გისურვებ!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი საპაკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76